

„ამ გვინდა ცხოვრება, გურიული ხალხი გულთბილია“ ინტერვიუ ოზურგეთელ ამერიკელებთან



გუმინ, 4 ივლისს, აშშ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. 1776 წლის 4 ივლისს, ფილადელფიაში ხელი მოეწერა თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილ აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაციას. თუ რას ნიშნავს ამერიკელებისათვის დამოუკიდებლობის დღე, ამის შესახებ ოზურგეთელი ამერიკელები, ეკადიის უბნის მცხოვრებნი კევინ გრეი და მისი მეუღლე

ნატაშა გვესაუბრნენ.

კევინ გრეი: –ამერიკის დამოუკიდებლობის დღე ყველაზე დიდი საზაფხულო დღესასწაულია ამერიკელებისთვის. ამ თარიღს მთავრობასთან ერთად ყველა ოჯახი ზეიმობს...

ამერიკის სამხრეთ დასავლეთში, არიზონას შტატის დედაქალაქ ფინიქსში დავიბადე. არიზონა ცნობილია მდინარე კოლორადო და

დიდი კანიონებით. აქ ლამაზი მთებიცა და უდაბნოც.

ქალაქის განაპირა უბანში ვცხოვრობდით, ტრადიციულ ამერიკულ ოჯახში. პატარა სახლები იდგა. დიდი ოჯახი გვქონდა. ერთად ვცხოვრობდით ბიძაშვილები, დედაშვილები, სხვა ახლობლები. ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, თბილი ურთიერთობები გვქონდა. კვირობით ეკლესიაში დავდიოდით. სკოლაშიც იგივე სიტუაცია იყო. შემდეგ საცხოვრებლად კალიფორნიაში, სან-ფრანცისკოში გადავედით. ახლა ჩემი ბავშვობის ქალაქი განვითარდა. ჩვენს უბანში მალღივი სახლები აიგო. თუ ჩემი ბავშვობისას, არავის წყინდებოდა თბილი ურთიერთობები, დღეს სახლებს კეტავენ. რაღაც სამ ათეულ წელში, ბევრი რამ შეიცვალა.

მე კარგად ვიცნობ ნიუ იორკს, მოსკოვს, თბილისს. თბილისზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგადად დიდ

ქალაქებში ურთიერთობები ისეთი არაა, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო.

– როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი...

– 2002 წელს (ამ კითხვაზე ნატაშამ გვიპასუხა), ინტერნეტის საშუალებით ვავიციანთ ერთმანეთი მე და კევინმა. შემდეგ მე ამერიკაში ჩავიდი. აიღარაში **BYU**-ში ვსწავლობდი. 2006 წელს კევინმა წინადადება შემომთავაზა (იცი-ნის) და დავექორწინდით.

– საქართველოში როგორ აღმოჩნდით?

– ჩემი ბაბუა ანტონ ტანტურა მეორე მსოფლიო ომამდე თბილისის გარეუბანში, ალექსეევკაში ცხოვრობდა. შემდეგ ომში გაიწვიეს. ომის შემდეგ საცხოვრებლად რუსეთში დარჩა. ერთი ბებია პოლიონელი მყავდა... ვცხოვრობდით ორენ-

▶▶▶ გვ-3

უმჯობესების სახელმწიფო რწმუნებულთან



ალიონი. სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი ურუმაძემ მუნიციპალიტეტების მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელ პირებთან გაცნობითი სასაათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე რეგიონში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების,

მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ ისაუბრეს. სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი ურუმაძემ კოვიდსაბჭოს წევრებსაც შეხვდა და მათთან ერთად განიხილა ეპიდემიის



ალიონი

უმჯობესების სახელმწიფო რწმუნებულთან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
ყოველკვირეული გამომშვება. № 19 (10390) 5 ივლისი, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

ოზურგეთში, სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი გაიხსნა



აღნიშნული ცენტრის, მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ ღონეზე სამუშაოს ძიებებს განვითარდეს უნარები და გაღრმავდეს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით, ასევე პრიორიტეტს დამსაქმებლისა და პოტენციური დასაქმების ერთმანეთთან დაკავშირება წარმოადგენს. ცენტრის წარმომადგენლებმა, პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მაწოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოქალაქეებს და მედიის წარმომადგენლებს. ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ საუბრისას აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ხელს შეუწყობს აღნიშნული პროექტის განხორციელებას. პროექტის „უნარების გაძლიერება და დასაქმების შესაძლებლ-

ობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის“ გურიის რეგიონში, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელიც გაძლიერებული უნიკალურ შანსს შეხვდეთ საუკეთესო ტრენერებსა და დარგის სპეციალისტებს, მიიღონ დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და აუცილებელი ცოდნა. პროექტი, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირსა და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად ხორციელდება. სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შეუძლია 16 წლის ზემოთ ნებისმიერ პირს, ვისაც სურს, განავითაროს უნარები, ისწავლოს და დასაქმდეს.

ოზურგეთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე **სოფელ შრომაში ახალი ბაღის** მშენებლობის საკითხი განიხილეს. როგორც სხდომის წამყვანმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუაშვილი**მ განაცხადა აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მომზადდა.

როგორც სოფელ შრომის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით ჭანელიძემ** განაცხადა, ვაკის დასახლების საბავშვო ბაღი კერძო სახლშია განთავსებული, ფართი არასაკმარისია, რის გამოც აქ მხოლოდ 22 ბავშვი სწავლობს. გასათვალისწინებელია თანამედროვე სტანდარტებიც. ამიტომ სასიხარულოა, რომ სოფელში ახალი საბავშვო ბაღი აიგება, სადაც იქნება გვერდები და იგი არა მარტო ვაკის დასახლებას, არამედ მიმდებარე ორმეტიის მოსახლეობასაც მოემსახურება. საკრებულომ მოიწონა აღნიშნული პროექტი და დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მის მშენებლობას მხარი.



ოზურგეთში ჯუშუბერ ღუნდუას სახელობითი მემორიალური დაფა გაიხსნა საკრებულოს სხდომაზე განიხილეს ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე კედელზე, გამოჩენილი ქორეოგრაფის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ჯუშუბერ ღუნდუას სახელობითი მემორიალური დაფის განსათავსებლად - გარდაცვალების ვადის (15 წლის გასვლამდე) შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ და მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე. როგორც ანსამბლ „შეიდა-

ცას“ წევრმა, სოფელ ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლევან ნინიძემ** აღნიშნა, გიორგი სალუქვაძის შემდეგ ასეთი ხელოვანი არ ახსოვს რეგიონს. იგი შესანიშნავად ფლობდა ქართული ცეკვის ხელოვნებას. –ჯუშუბერ ღუნდუა იყო შესანიშნავი ორგანიზატორი. მისი აღზრდილები ხვდებოდნენ ანსამბლ „სუხიშვილებში“, „ერიისონში“, აჭარის სახელმწიფო ანსამბლში. იგი გამოირჩეოდა იმითაც, რომ თავის მოცეკვავეებთან იყო არა მარტო პედაგოგი, არამედ ცხოვრების მასწავლებელი. მან დამოუკიდებლად გაიყვანა ცეკვის ანსამბლი უცხოეთში, რასაც ბევრი ანსამბლი ვერ

ახერხებს. არ უნდა იყოს ასეთი შეზღუდვები ჯუშუბერის ნაირი პიროვნების მემორიალური დაფის გასახსენებლად - ლევან ნინიძემ. საკრებულომ კიდევ ერთხელ აღნიშნა ქორეოგრაფ ჯუშუბერ ღუნდუას ღვაწლი და დამსახურება დადადებითი გადაწყვეტილება მიიღო მემორიალური დაფის განსათავსებლად - გარდაცვალების ვადის (15 წლის გასვლამდე) შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების შესახებ. გუმინ, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა.

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება

რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ოზურგეთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

შავი ზღვის სანაპიროს „მყარი ნარჩენების კომპანია“ დაასუფთავებს

შავი ზღვის სანაპიროს ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია დაასუფთავებს. ამის გამო, „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-მ მოითხოვა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების სარგებლობაში გადაცემა, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტის ეფექტიანად განხორციელებისად ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. კერძოდ, საქმიანობ აეხება 2021-2023 წლების განმავლობაში სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და წარმოქმნილი ნარჩენების გატანას, მის

მართვაში არსებულ ობიექტებზე (ნარჩენების გადამტვირთ სადგურზე და არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე), ასევე მდინარეებზე: ნატანებზე, სეფაზე, სუფსასა და ურეკის არხზე დამონტაჟებული ნარჩენების დამჭერების მოვლა. აღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე და დაამტკიცა განკარგულება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. სხდომის შემდეგ „ალიონი“ ოზურგეთის „სერვისცენტრის“ დირექტორს **თენგიზ ქუტიძეს** ესაუბრა აღნიშნულ თემაზე. - განსაკუთრებით ზაფხულობით „სერვისცენტრის“ თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი ზღვისპირა ზოლის დასუფთავების სამუშაოებით იყო დაკავებული. იყო პრობ-



ლემებიც: მდინარე ნატანებზე შესაცვლელი იყო ნაგავის დამჭერი. საკრებულოს განკარგულების საფუძველზე ჩვენ „მყარი ნარჩენების კომპანია“ გადავცემთ ჩვენს ხელთ არსებულ სატრანსპორტო საშუალებებს: 5 ერთეულ მისაბმელიან ტრაქტორს, 2 ერთეულ ქვიშის საც-რულ მანქანას ე.წ. „ბიტეკი“; 2 ერთეულ თვითმცლელს. კომპანია აპირებს კიდევ დაუმატოს ტექნიკა და უფრო ეფექტურად მართოს დასუფთავების სამუშაოები - გვითხრა თენგიზ ქუტიძემ.

15 ივლისს, ზვერმაგალას პარკში გაიმართება გურიის აგროტურისტული ფესტივალი „ჩაის გზა“

ჩაის გზა
TEA ROUTE

ოზურგეთი, TSVERMAGALA PARK
JULY 15, 14:00-18:00

ოზურგეთი, ზვერმაგალას პარკი
15 ივლისი, 14:00-18:00

აგრო-ტურისტული ფესტივალი • AGRITOURISM FESTIVAL

2021 წლის 15 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, წვერმაგალას პარკში გაიმართება გურიის აგრო-ტურისტული ფესტივალი - „ჩაის გზა“. ფესტივალი ტარდება მუნიციპალური პროექტის, „ჩაის გზა“ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი წარმოების და ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას. ფესტივალის სტუმრები დაგეგმილად ქართული ჩაის მწარმოებელი მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი თავლის, მშრალი ხილის, ღვინის და კენკრის ნაწარმი.

ტურიზმით დაინტერესებული სტუმრები-სათვის მოეწყობა გურიის ტურისტული პოტენციალის ამ-სხველი კუთხეები: „ჩაის გზა“, „ჩხაჯურის ისტორია“, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მდებარე ღირსშესანიშნავი ტურისტული ადგილები, ასევე მოხდება გამორჩეული გურული სიმღერების პრეზენტაცია. ფესტივალის მხარდამჭერია გურიის განვითარების პროგრამა (UNDP), შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სოფელ კიბითში გზის სამუშაოები მიმდინარეობს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და უსაფრთხოების მიზნით, ქალაქსა და სოფლებში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს. ამჟამად, სოფელ ძიბითში, შიდა სასოფლო 2 408 მეტრი სიგრძის გზის მოასფალტება მიმდინარეობს. სამუშაო პროცესს, ოზურგეთის მერიის მოადგილე, ოსიკო თოთბაძე და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, თემურ გიორგაძე ადგილზე გაეცნენ. პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის სახელმწიფოებო ღირებულება 749 000 ლარს შეადგენს.

„აღნიშნული სოფელში, სადაც ასფალტის საფარს ვაგებთ, წლების განმავლობაში იყო ამორტიზებული ტერიტორია. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივები, კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ,“ - აღნიშნა მერის მოადგილემ, **ოსიკო თოთბაძემ**. პროექტს, შ.პ.ს „პალადა“ ახორციელებს, რომლის ფარგლებში, 2 408 მეტრი სიგრძის ასფალტის საფარის გზასთან ერთად 3 ადგილზე ქვის გაბიონების საყრდენი კედლები მოეწყობა, ზოგიერთ საგზაო მონაკვეთზე მოხდა გზის სავალი ნაწილის გაფართოება, ძველი მიწები შეიცვალა ახალი ლითონის მიწებით, წესრიგდება სანიაღვრე სისტემა, ასევე მოეწყობა მოსახლეობის ჭიმკრებთან მისასვლელი.



თორნიკე ხვედელიძის სახელობის მემორიალური ტურნირი დასრულდა



ტურნირი, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდა, რომელშიც 18 მოჭადრაკე გურიის რეგიონის ამავე მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა. მაღალი კონკურენციის პირობებში, გამოვლინდა 4 საპრიზო ადგილი: I **მხედელ აფხაზა** (ლანჩხუთი), II - **გივი სიამაშვილი** (ოზურგეთი), III - **ლუკა ქორიძე** (ჩოხატაური), IV - **გივი ქორიძე** (ჩოხატაური). საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული

ბულები სპეციალური პრიზებითა და სივრცით დაჯილდოვდნენ. აღნიშნული ტურნირი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის - სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხთა განყოფილების ორგანიზებით, ოზურგეთის ჭადრაკის ფედერაციაში ყოველწლიურად ტარდება და იგი, 2013 წელს ტრაგიკულად გარდაცვლილი მოჭადრაკის - **თორნიკე ხვედელიძის** ხსოვნას ეძღვნება.

„ამ გვინდა ცხოვრება, გურული ხალხი გულთბილია“ ინტერვიუ ოზურგეთელ ამერიკელებთან



ბურგის ოლქში, ყაზახეთთან საზღვრისპირა დასახლებაში. შემდეგ ბაშკირეთში, უფაში გადავდივით

შემდეგ ბაბუას კვალს გამოვეყვი და საქართველოში აღმოვჩნდი. კვინი ვებ-დინამიკა, მე – ინგლისურის მასწავლებელი.

–**შვილები?**
–სამი შვილი გვაყავს. უფროსი –ევა 12 წლისაა, სელესია –9 წლის, უმცროსი –აკიმი 2 წლის ხდება...

–**აკიმი(?!)**
–კვინის ძალიან მოსწონს ქართული შინაარსიანი ფილმები. იმ ფილმს უყურებდა, ახალგაზრდა მხატვარი რომ გრანტიდან მონუმენტის გაკეთებაზე ოცნებობს („არაჩვეულებრივი გამოფენა“). იქ ერთი მოუსვენარი ბავშვია აკიმი. მოეწონა ფილმის გმირი და ჩვენს ვაჟს დაართქვა ეს სახელი (იცი-ნის).

ჩემი გოგონები თბილისის 98-ე სკოლაში სწავლობენ. აქ რომ

გადმოვედი, პანდემია დაიწყო და ონლაინ რეჟიმში გაავრცელეს სწავლა. ახლა უნდა მოვიფიქროთ, სკოლაში როგორ ივლიან.

–**ერთი წელია თქვენ ოზურგეთში ცხოვრობთ. რა საერთო და განსახვავებაა აქაურ და ამერიკულ ცხოვრების წესს შორის?**

კვინი გრევი: –**მე ყოველთვის მომწონდა პატარა ქალაქი. ინტერნეტში ვნახეთ, რომ ოზურგეთში იყიდებოდა ორსართულიანი ხის სახლი და შევიძინეთ. აქ გვინდა ცხოვრება. მე მოვიყვებით ჩვენს სანათესაოს და სამეზობლოს ურთიერთობის შესახებ. გურული ხალხი გულთბილია, რომ ჩამოვედით, მეორე დღით დავინახეთ, რომ ადამიანები შრომობდნენ, აქვთ თბილი ურთიერთობები.. მე კი ეს ძალიან მომწონს.**

განსხვავება ის არის, რომ

ამერიკას ორასორმაცდაათწლიანი ისტორია აქვს. ბევრი არის ამერიკაში დირშესანიშნავი ადგილები, მაგრამ აქ აღფრთოვანებული ვართ, აქ საოცრებაა, სადაც მილინარ ყველგან სიძველე გვხვდება: ციხეები, უძველესი ტაძრები, უძველესი კულტურა, ზღვისა და მთის საოცარი კონტრასტები...

საკმაო ხანს ვისაუბრეთ გურიის ისტორიაზე, „გურიის რესპუბლიკაზე“ და ბენია ჩხიკვიშვილზე. საქართველოს პირველ დამოუკიდებლობის აქტზე, იმჟამინდელ საქართველოს მთავრობაში მოღვაწე გურულ ქალბატონებზე..

შემდეგ ვერ ნატამას, შემდეგ კი კვინის ონლაინ რეჟიმში გაკვეთილები უნდა ჩატარებინათ და ჩვენი ინტერვიუც დასრულდა.

ესაუბრა **ნუზუარ ასათიანი**

ამირან გამყრელიძის განცხადებით, „ფაიზერის“ უემოსკლის უემდეგ 16 წლის ზემოთ მოსახლეობა აიცრება

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, მას შემდეგ რაც საქართველოში „ფაიზერის“ ვაქცინა შემოვა, 16 წლიდან ზემოთ მოსახლეობა აიცრება. როგორც გამყრელიძემ განაცხადა, აღნიშნულს განაპირობებს ის, რომ „ფაიზერის“ უკვე იცრებიან 16 წელს ზემოთ მოქალაქეები.

მისივე განმარტებით, სამიზნეა, რომ ივლისში დღის განმავლობაში თანდათანობით ავიდნენ 20 000-დან 25 000-მდე აცრაზე.

„მოგეხსენებათ, „ფაიზერის“ ინსტრუქციაში აქვს 16 წელს ზემოთ აცრა. დღეს, ყველა სხვა ვაქცინით იცრება 18 წელს ზემოთ მოსახლეობა, „ფაიზერის“ დაშვება აქვს 16 წლიდან. ამიტომ, ჩვენთანაც ცვლილება შევა „ფაიზერის“ შემოსვლის დროს და 16 წლიდან ზემოთ მოსახლეობა იცრება. რაც შეეხება შემდეგ გადაწყვეტილებებს, რასაც უკვე ზოგიერთი ქვეყანა „ფაიზერთან“ მიმართებაში ახორ-



ციელებს - მოზარდების აცრას, ამაზე რა თქმა უნდა, დავულოდებით ვანდაციის მსოფლიო რეგისტრაციის გადაწყვეტილებას.

ხვალიდან ვაგეშნები გაიხსნება. დავაკვირდებით, როგორი იქნება

აქტიურობა და მერე უკვე მთელი თვის განმავლობაში გაიზრდება ვაგეშანი და შეიძლება მთელი ზაფხულის განმავლობაშიც. ვიწყებთ „სინოფარმით“ და ამას შემდეგ დავატარებთ „სინოვაკი“ და „ფაიზერი“, აცხადებს გამყრელიძე.

„მაუგლი“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე



ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა რუსულმა თეატრმა რადიარდ კიპლინგის მითხრობების მიხედვით ერთმოქმედებიანი მუსიკალური სპექტაკლი „მაუგლი“ წარუდგინა ოზურგეთელ მაყურებელს. აღნიშნული დადგმა რეჟისორ ვახტანგ ნიკოლაშვილს ეკუთვნის.

მუსიკალურ სპექტაკლში, თითქმის მთელი დასი მონაწილეობს.

ეს არის ბიჭის, მეტსახელად მაუგლი, არაჩვეულებრივი ამბავი.

ბავშვობაში იგი დაიკარგა ჯუნგლებში. მგლებმა გადაარჩინეს და თავიანთ ოჯახში მიიღეს. მის აღზრდაზე ზრუნავენ შავი ავაზა ბავირა და ტუნა დათვი ბალუ. მაუგლის როგორც მეგობრები და მფარველები, ასევე მტრებიც გამოუჩნდნენ. დროთა განმავლობაში იგი მოუხერხებელი „ბაყაყიდან“ მგლების ხროვის მეთაურად იქცა. მისი ცხოვრება საესეა თავგადასავლებით, მას ელოდება საფრთხეები, ბრძოლა, დიდი გვაღვა, სასიკვდილო შერყინება ვეფხე „შერხანთან“ და სიყვარულიც კი იგი დაა-

მარცხებს მრისხანე მტერს, დაბრუნდება ადამიანებთან, თუცა შემდეგ თავის სიყვარულთან ერთად მის ჯუნგლების მეგობრებთან ბრუნდება

სპექტაკლი დედამიწაზე ურთიერთ-სიყვარულისკენ მოუწოდებს ყველას.

სპექტაკლი კარგად მიიღო ოზურგეთელმა მაყურებელმა. დარბაზში ბევრი ბავშვი იყო. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ აღნიშნა გრიბოედოვის სახელობის თეატრის წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობა, ოზურგეთის თეატრთან ურთიერთობის შესახებ და მადლობა გადაუხადა მათ.

–**გრიბოედოვის სახელობის თეატრი დიდი ტრადიციების მქონე 175 წლის თეატრია. შესანიშნავი დადგმა წარმოგივლინეს დღეს. –თქვა ვასილ ჩიგოგიძემ.**

გრიბოედოვის თეატრის დირექტორმა, რუსის დამსახურებულმა არტისტმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნების ქურუმმა ნიკოლოზ სენტიცკიმ მადლობა გადაუხადა დარბაზში მყოფთ აპლოდისმენტებისთვის და განაცხადა – მას მოსწონს ოზურგეთის თეატრი და განსაკუთრებულად უყვარს გურულები.

ჯუმაბარ ღუნდუას 80 წლის იუბილუსადმი მიძღვნილი საღამო გაიგარდა

გუმნ, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში, სახელმწიფო ანსამბლ „გურას“ დამფუძნებლის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ჯუმაბარ ღუნდუას** 80 წლის იუბილუსადმი მიძღვნილი საღამო გაიგარდა.

იუბილუს ჩატარებამდე, კ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე, მისი საცხოვრებელი სახლის წინ, საზეიმოდ გაიხსნა ჯუმაბარ ღუნდუას სახელობის მემორიალური დაფა.

სუნიშვილების დასმ მრავალწლიანი კარიერის დასრულების შემდეგ, ჯუმაბარ ღუნდუა მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და წლების განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა გურიაში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში.

1978 წელს, მან დააარსა ანსამბლი „გურია“ რომელიც 1998 წელს სახელმწიფო ანსამბლი გახდა.

1986 წელს, მისი დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად, ნინო რამიშვილიან და თენგიზ სუნიშვილიან ერთად, ოზურ-



გეთში, ილიკო სუნიშვილის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია დაარსდა.

2012 წელს, ჯუმაბარ ღუნდუას, 2016 წელს კი სახელმწიფო ანსამბლ „გურას“, ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის, ოზურგეთის თეატრის თაღებში სახელობითი ვარსკვლავი გაუწინეს.

2014 წელს, ჯუმაბარ ღუნდუას გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფო ანსამბლ „გურას“ მისი სახელი მიენიჭა.

რეკლიმა თაღლითობა სახელწოდებით „ოკპრაცია პარკი“

იმას, რასაც ამ ბოლო დროს ოზურგეთში არსებული სუპერმარკეტების უმეტესობა მიმართავს, თაღლითობა ჰქვია. სოციალური სიღრუხების პირობებში, პროდუქციის თითქმის ყოველი რაოდენობა ფასებზე ცალკეულად ცელოფანის პარკის ფასის დამატებას სხვას ვერაფერს დაგვარჩევს და, ჩემი აზრით, მოლარის გახუბრებული ფრანა – „პარკი ვენებათ?“ – თავაზიანობაზე უფრო, მომხმარებლის შეურაცხყოფაა.

პარკი გენებავს, რასაკვირველია, აბა, პროდუქტს ვიბეჭდო ხომ არ ჩავიწყობთ, მაგრამ იმ პარკში, რომლის დამზადება ან შექმნა თქვენ, ალბათ, მაქსიმუმ სამი თეთრი გვაჯდება, მე, მომხმარებელი 15-20 თეთრს არ უნდა ვიხდოდე გასაგება? ნამეტნავად გავიფიქროთ თავს. თქვენთან იმის თქმაც არ შეიძლება, რომ „სინდისი კარგი საქონელია“, თორემ ადგებით და, თუ შემორჩენილი გაქვთ, იმასაც ფასს შესავამთ, როგორც ამ ცელოფანის პარკებს.

პოლიეთილენის ნაწარმით რომ მსოფლიო გადაბინძურებულია და ეს ქმითური წარმოებები კაცობრიობას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებს, გეცოდინებათ. ისიც გენსიძებოთ, ამ ჩვენი ცოდვით საესე ხელისუფლებამ ცელოფანის პარკების მოხმარებიდან ამოღებაზე და ქალაქის პარკების შემოღებაზე რომ იმსჯელა, თითქოს შესაძამისი დადგენილება მიიღო, მაგრამ ვინ იღო ყურად?! ჩანს ვინმე ამ დადგენილების შესრულებაზე

პასუხისმგებელი ან ზედამხედველი?! თუ არის, მაშინ რატომ გაიზარდა საგრანობლად ცელოფანის წარმოება და შესაძამისად მოხმარება სწორედ ამ დადგენილების თუ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ?! რამდენადც ვიცი, ზოგიერთ სუპერმარკეტს ცელოფანის პარკების დასამზადებელი საკუთარი საამქროც კი გააჩნიათ, რომელიც ფაქტობრივად ფულის საჭრელ დაზღად აქცევს.

ამ რეპლიკის წერა ფაქტობრივად დამთავრებული მქონდა, როცა რედაქციაში ერთი მეგობარი კაცი მესტუმრა, რომელსაც პოლიეთილენის წარმოებაში საქმიანობა დიდი გამოცდილება აქვს. უბრალოდ, ვკითხე: – ხომ არ იცი, რა ვდება ერთი საშუალო ცელოფანის პარკის დამზადება? – შენი აზრით? – შემომხბრუნა კითხვა.


– ალბათ, 3 თეთრი, – დავიკვირე ზემონათქვამი ღიბებულმა.

– ერთი საშუალო ზომის ცელოფანის პარკის დამზადებისთვის ერთი პოლიეთილენის გრანული საესეების საკმარისია. და იცით, რამდენად ეს გრანული? ამონიუმის გვარჯილის მარცხლები ხომ ვინახავთ? დაახლოებით იმდენად, – გამოიღმა და შემოვივლიო, შემპირდა.

უფ, წარმოვიდგინეთ რა მაყფოს „ღუნდუა“ ამ ცელოფანის პარკებით ჩვენი ე. წ. სუპერები?!

კოკა თაღლია.

შესვლა მერაბ ბერძენიშვილთან



ერთ დღეს ანზორ ერქომაიშვილი მირეკავს: —ტრისტან, მერაბ ბერძენიშვილმა მთხოვა, ერთი კვირა გურული სიმღერები მომასმენო და მე შევთავაზე —ჩვენს ტრიოს „შალვა ჩემო“-ს ჩამოვიყვან, მოგეწონება, კარგად მღერიათ მეთქი. გაეხარა და მითხრა: —ყოველგვარ ხარვეზს მე გადავიხდი. მე დავუკავშირდი გური სინარულიძეს, მერაბ კალანდაძეს და გაგაცანი საქმის ვითარება, შევთანხმდით დროზე და ჩველი თბილისში. ანზორმა წინასწარ შეადგინა შეხვედრის დეტალები. მოგვითავსეს ბერძენიშვილის ფონდ „მუხას“-სასტუმროში. შუადღისას ანზორისთან ერთად მივადექით მერაბ ბერძენიშვილის სახლ-მუხეუმის დიდ კვიშარს. გაიღო თუ არა კვიშარი, დავინახეთ, შუა ეზოში ჯოხით იდგა ეს ბუმბერაზი პიროვნება. რომ დავგინახა

წამოვიდა ჩვენსკენ. ანზორმა გვითხრა „ჩვენ მშვიდობით“ შეხვდითო. სიმღერის დროს მერაბი შეჩერდა, ჯოხს დაეყრდნო და სანამ სიმღერა არ დამთავრდა მანამ გვისმინა, მერე წამოვიდა, ჩავიკრა გულში და თვალცრემლიანმა წარმოთქვა: „აწი არაფერი არ მიჭირსო.“ მერე მოუბრუნდა ანზორის და უთხრა: —„ამდენ ხანს რატომ არ გამაცანი ეს ბიჭებიო.“ მერე ნაშუაგვის მნიშვნელობა და ბოლოს სუფრაზე მიგვიპატიჟა. სუფრაზე დაიგვმა ჩვენი კონცერტი „ბასიანთან“ ერთად. ანზორის სთხოვა: ამ საქმეს შენ უხელმძღვანელო, შეარჩიეთ დრო, წინასწარ გამაგებინე როდის ჩამოვლენ ეს ბიჭები თბილისში, რომ ხალხი მოვიწვიო და ვაჩვენო კვი კონცერტი, ბოლოს კი კარგად ვიქვიფოთო. რამდენიმე დღის შემდეგ ანზორი

მირეკავს, მერაბი გველოდებაო. მოვითათბირეთ და ჩველი თბილისში. მოგვითავსეს სასტუმროში და გაგვაცნეს ჩვენი ვიზიტის პროგრამა. კონცერტი დაინიშნა ორი დღის შემდეგ. მანამდე მოგვატარეს თბილისის ღირსესიანნიშნავი ადგილები. რესტორნები და დროის ტარება არ მოგვკლებია. მოკლედ დიდი ყურადღების ცენტრში ვყავდით. ორი დღის შემდეგ ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად წარვდექით მაყურებლის წინაშე. სადამო ანზორი წაიყვანა. ჩვეული სიტოთი წარუდგინა ანსამბლი „ბასიანი“ და ჩვენი ტრიო „შალვა ჩემო“—მაყურებელს. ყველა ნომერი მქუხარე ოვაციებით და შემახილებით მთავრდებოდა. განსაკუთრებულ სინარულს და ალტაცებს ვხვდავდი ბატონი მერაბის სახეზე, რამაც ჩვენ დიდი სიამოვნება

მოგვანიჭა. კონცერტის შემდეგ მერაბმა დიდი სუფრა გაშალა და მოიწვია თბილისელი გურულები. თამადად კი ცნობილი გურული თამაზ შილაკაძე დაგვისვა. იყო სიმღერები, იუმორი, მოგონებები და დიდი სიყვარული. ყველამ ვიმხიარულეთ, მაგრამ ყველაზე უფრო ნასიამოვნები ბატონი მერაბი იყო, რომელიც ვერ მალავდა ამ დიდ სინარულს. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეგვხდა ბატონი მერაბი. მან ტრიო „შალვა ჩემო“ დაასაჩუქრა ფულადი ჯილდოთი, შეგვიკერა გურული „ჩაქურა“ თავისი გემოვნებით და გვითხრა: —„ბიჭებო, კარგები ხართ, ჩვენ კიდევ შევხვდებით.“ მაგრამ სამწუხაროდ ვეღარ...ის გარდაიცვალა. **ტრისტან სინარულიძე,** ხელოვნების ქურუმი



„თუკი აღამიანები მუტი გულისხმიერებით არ მოვამტყვით სამყაროს, კაცობრიობა შეიძლება სავალალო შედეგებამდე მივიდეს“



მაკვანთლები, ანი და ელენე მუჯირები ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ეზოში „საქართველოს კლიმატის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებაზე გავიცანი. საინტერესო ნაშუაგვრები ჰქონდათ წარმოდგენილი. — ძალიან საინტერესო გოგონები არიან. ნიჭიერები და შრომისმოყვარენი. გვითხრა ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორმა კახა ვასაძემ და მათი შემოქმედების გასაცნობად სამხატვრო სკოლაში მიგვიწვია. თემათა მრავალფეროვნება, საოცარი ფერები, ბავშვის თვალთ დანახული სამყარო — ვათვლიერებთ მათ ნაშუაგვრებს. ორი წყვილი თვალთ გვიყურებდა, თუ რას ვიტყვოდი მათ შემოქმედებაზე.

უცბე ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის ყველა დროის საუკეთესო პედაგოგი მელქის მუჯირი გამახსენდა და ვკითხე ჩვენს მომავალ რესპონდენტებს, თუ რა იყო მათი ბატონი მელქისი. —დიდი ბაბუა — გვიპასუხა ბავშვების დედა. გოგონები კითხვებისას მორცხვობდნენ, თუმცა გავიკეთ რომ მათი მასწავლებელი სამხატვრო სკოლაში რევაზ ჯაშია. ანი 13 წლისაა, ელენე კი 12 წლის 21 დეკემბერს 12 წლის გახდება. უყვართ მუსიკა და გიტარის ცნობილ პედაგოგთან ალიკა აბაშაძესთან დადიან. წარმატებით სწავლობენ წმინდა ნინოს სახელობის ოზურგეთის სამრევლო სკოლაში. ვთხოვეთ წერილობით ეპასუხათ

ჩვენს კითხვებზე. მერე დღევანდელ მოვინდნენ რედაქციაში. **ანი მუჯირი:** —„მიყვარს მეგობრები, მასწავლებლები, მოკეთები, ზოგადად ადამიანები. დედა მიყვარს. ძალიან ვაფასებ მის მზრუნველობას, იმას, რომ გამორჩეულად განათლებული ვიყო. ძალიან მიყვარს ბუნება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროთი. მიყვარს ხატვა და ჩვენმა სამხატვრო სკოლამ მრავალ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით საინტერესო იყო „საქართველოს კლიმატის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული „ჩემი თვალთ დანახული კლიმატის ცვლილება.“ სანამ ნაშუაგვარს შევქმნიდი, ბევრი ვიფიქრე ამ საკითხებზე. ინფორმაციები მოვიძიე და შევმინდი —თუკი ადამიანები მეტი გულისხმიერებით არ მოვექცევით სამყაროს, კაცობრიობა შეიძლება სავალალო შედეგებამდე მივიდეს. ღმერთმა შეგვიქმნა ულამაზესი მთა და ბარი, ტყე და ველი, მდინარე და ზღვა, ცა და დედამიწა. ამას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. თუ მკითხავეთ, რა მიყვარს, ვიპასუხებთ —ხატვა და მუსიკა მიყვარს. შემიძლია ბევრი ვხატო ისე, რომ არ დავიდალო. ეს საშუალებას მძლევს ჩემი სულიერი სამყარო ხელ-უღლიც ვავხადო და თან უხილავიც.“ ბევრი ოცნება მაქვს, ერთს ვაგომხვლი —ცნობილი და სასურველი არქიტექტორი მინდა ვაგხვდე. ისეთი ჯადოსნური სახლი მინდა ავაშენო, სადაც თავს მოიყრიან ჭკვიანი ადამი-

ანები და ბევრს იფიქრებენ იმაზე, როგორ გახადონ სამყარო უკეთესი. **ვამიკა, ოცნებები ზოგჯერ ხდება. ნეტავ, მეც ამხსნებოდა.** **ელენე მუჯირი:** — „ძალიან თბილი გარემოა ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში. ხატვის გარდა ჩვენი მასწავლებელი რევაზ ჯაშია და სკოლის დირექტორი კახა ვასაძე ბევრ საინტერესო თემებზე გვესაუბრებიან. ისინი ცდილობენ შეგვავყვარონ კითხვა და ასე გვაზიარონ ჯადოსნურ სამყაროს, რომლებიც წიგნებში დავხვდებით. მეც არქიტექტურობაზე ვოცნებობ. ჩემს დასთან ერთად მინდა ჩავაბარო სამხატვრო აკადემიაში. ძალიან მინდა მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მერს, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს გაწეული დანხარებისთვის, იმ საჩუქრებისთვის, რომლებიც მე და ჩემს დას ვაძღვევთ, რომ უფრო დავხვეწოთ ჩვენი სამხატვრო ხელოვნება. ოზურგეთის მერიამ ორჯერ დამაჯილდოვა წიგნებით, კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ და „არა ოკუპაციას“. რაც შეეხება რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ კონკურსს „ჩვენი თვალთ დანახული კლიმატის ცვლილება“ დავსაჩუქრდი კატეგორიის შესაბამისი საჩუქრით.“ ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დირექტორის კახა ვასაძის თქმით, ამ ნიჭიერ ბავშვებს მეტი თანადგომა სჭირდებათ. იგი დარწმუნებულია, დები წარმატებული ქალები იქნებიან.

ნახეთ, შეხედეთ, უყურეთ!

ამ სიტყვებს იყენებს დღევანდელი მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები თავიანთი აზრის გზამკვლევადა... „მდიდარი“ ლექსიკაა, ვერც მე გავუქცევი... — ბატონო დავით, რას იტყვით თბილისის პრადის შესახებ? — ჰკითხა ყურნალისტმა სერგეიკოს. — მართალი ვითხრათ, საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს ეს თბილისის პრადი, აი, მართლა არ ვიცი. რა კარგია კაცი ასე გულწრფელად, გაბრანჭვისა და გაურკვეველი მიმიკების გერეშე რომ იტყვის სათქმელს... სიმართლეს უყვარს სინათლე! რაზედაც ახლა თავპირს უმტყვრვენ ერთმანეთს, ხმამაღლა აბრაზუნებენ, წინა ეპოქაში ისე იყო პატივით დაცული, სინდისით შენახული, კანონით განმტკიცებული და რწმენით გამოხატული, რომ გასაკვირია, ასეთ საქართველოს — კვლავ ორად გახლეჩილს, თავ-ბოლო წართმეულს, პოლიტიკით აღრეულს, რწმენაში წაქცეულს ერქვას — თავისუფალი. დამოუკიდებელი, ქრისტეს მიმდევარი. კი, გარემონტდა საქართველო, ბევრი რამ აშენდა, დამშენდა, მაგრამ დანგრეულია ხალხი... ნახეთ: რას წერდა აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. ქოლერამ მაშინაც ჩამოუარა ხალხს. სამი რამ ამშვენებს ადამიანს: — მარილიანი სიცოცხლე; — ტკბილი ხმა; — მოხდენილი სიარული. სამი რამ ამხიარულებს კაცს: — საიდუმლო ტრფიალი; — მოვალეობის გასტუმრება; — მონობიდან თავის გამოხსნა. შეხედეთ:ახლა 21-ე საუკუნის 20-იანი წლებია და რა ხდება:

აღარც ტკბილი ხმაა, აღარც მარილიანი სიცოცხლეა, აღარც საიდუმლო ტრფიალია, აღარც მოხდენილად დადიან, ვეღარც ვალებს ისტუმრებენ და მონობაშიც შესული უფრო ვართ, ვიდრე მონობიდან გამოსხნილი... ჩაიკეტა ბიძინა ივანიშვილი, აღარ გვენახება. ნიცშეს კითხულობსო... ნიცშე კარგია, შეტყუება მართლაც იცის... სხვათა შორის, კაცთმოძულეობის აბოლოგულად ითვლება. ბევრს კაცთმოძულეობა ცუდი სიტყვა ჰქონია, პირიქით, მასებს, უმადურ ბრბოს თუ არ გაექეცი ხანდახან, დიადსა და სამახსოვროდ ვერაფერს შექმნი... უყურეთ: რას წერს ნიცშე: — ყველა შემქმნელი მრისხანეა; — იყავი შმიერი, ძლიერი, მართლსული და ქედუხრილი; — შენს მეგობარში შენ ხედივდი საუკეთესო მტერს; — ადამიანებს შორის ისე დავდივარ, როგორც კაცობრიობის სხეულის ნანგრევებსა და ცალკეულ ნაწილაკებს შორის. *** ეპ, ჩემო კარგო ქვეყნავ! — ვერა და ვერ გამოხვედი მაგ მოწყენილობიდან... თითქოს ქრონიკულად გექცა... მაინც ნუ მოიწყენ მომავალი ხომ შენია... შეხედეთ: როგორ აყვავებულა მდელი, აყვავებულა მთები... ნახეთ: რა როგ კარგია მტკვარი, ენგური, ბზიფი, რონი, შენი მთავრობა და ჩემი გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი... **ოლიგო კოზალავა — ჩხაიძე.**

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

გაგუჟა გოგუაძე

დასაწყისი იხ. ბაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-14, 2021 წ



სიმართლეს ლაპარაკობდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მის სულში ორი ბუნება ებრძოდა ერთმანეთს – ბოროტი და კეთილი. ამ შემთხვევაში ბოროტი აშკარად ჯაბნიდა კეთილს. ხან ჟარგონით საუბრობდა, ხან დახვეწილად. ეტყობოდა, აქაური სამართლით გასამართლება ერჩივნა ქურდულით გასამართლებას.

– რომ არ მოგეკლა, არ შეიძლებოდა? იქნებ, ინტიმური ცხოვრებით უფრო ახლობელი და შენი ერთგული ყოფილიყო?

– გინახავს, უფროსო, ძუკნა, რომელსაც ერთგულება შეუძლია? მე არც კი შემხვედრია ასეთი. თან არაქურდული იყო. ის ქურდის საყვარელი იყო.

– არაფერი ვითხრა იმ ქურდმა როსტოვში შეხვედრის დროს ამის თაობაზე?

– კი. ზუსტად ის ვუთხარი, რასაც თქვენ გეუბნებით. ვერაფერი მითხრა, მაგრამ ვატყობდი, ჩემი დაბრუნება უნდოდა და დავტყვი. ალბათ, მეტებს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ მას მხოლოდ ჯოჯოხეთში თუ შეეხვდები.

– ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით. როგორ მოჰკალი პანფილოვა?

– როცა გადავწყვიტე ეს ამბავი, დამით ვდარაჯობდი. ვიცოდი, ნადავლს მონინახულებდა. როგორც ვითხარი, ნაწილს აიღებდა და დანარჩენზე მილიციას დამაყენებდა და დამიჭერდა. ეს უტყუარი და შეუვალი აზრია. სანამ ჟღერტი მოვიდოდა სტუმრად, რომელიც პანფილოვამ მისი პასპორტის ჩვენებით ემპაკურად მოიპატიჟა, თავი მოვიმძინარე. შუალადით ჩუმი გაალო კარი და გარეთ გავიდა. ჩემი ეჭვი გამართლდა. დავადექი თავზე, როცა მკერფასეულობა გახსნა. შეშინდა, რომ დამინახა.

დავამშვიდე, ხელი მოვხვიე, მოვეფერე. ვუთხარი, რომ მეც არ მემძინებოდა და გავისეირნოთ-მეთქი. ცოტა რომ მოვშორდი სახლს და ტყეში შევედი, სახლიდან წამოდებული ნაჯახი თავში დავარტყვი.

ოთახში მყოფი ყველა პიროვნება შეძრა ამ მონაცემმა. მარტივიანი კი ისე მშვიდი ჩანდა, თითქოს წინაღობისთვის გაეგდებინოს თავი.

– შეგიძლია, გვაჩვენო ის ადგილი?

– კი.

– ვაჟა, დათოსთან ჩადი და უთხარი, შემთხვევის ადგილზე გამოგვეყვას.

დათო ხახიაშვილი პროკურატურის პირველ სართულზე მდებარე ფოტოატელიეს უფროსი იყო, კარგი ფოტოგრაფი, წესიერი კაცი.

ორმოც წუთში მარტივიანი პროკურორსა და მის თანამშრომლებს უჩვენებდა იმ მარშრუტს, რომლითაც მან სახლიდან გაიყვანა ლუბა პანფილოვა და მიუთითა ის ადგილი, სადაც მკვლელობა და მკვლელობის შემდგომი ქმედებები ჩაიდინა.

– მარტივიანი, კითხვები არის, მაგრამ ეს ამ საქმის ვითარებას ვერ შეცვლის. იმდენად რთული აღსაქმელია ეს ჩემთვის, თან დინჯად საუბრობ, რომ დღეს აქ დავამთავრებთ დაკითხვას. მძიმე დღე გელის ზეგისთვის. წაიყვანეთ!

პროკურორი თავის ოთახში მუშა თათბირს ატარებდა თანამშრომლებთან. ემოციით და გონებრივად გადატვირთული ყურადღებით ისმენდა ინფორმაციებს. ყველა საქმე ვადაში სრულდება. თუ ასე გაგრძელდა, წლის ბოლოს რესპუბლიკის პროკურატურა მადლობას მაინც გამოუცხადებს...

– ნინა ხარიტონოვნა, მგონი, მწვანე ჩაი არის. სანამ სამუშაო რეჟიმში ჩავევლები, ერთი ჭიქა, მომიმზადე და შემომიტანე ლიმონთან ერთად.

– კი, არის. ბუსკუმ მოიტანა. თქვენი ნახვა უნდოდა, მაგრამ აქ ისეთი ამბავი იყო... ხუთ წუთში შემოვიტანო.

მდივანმა პროკურორს ცხელი ლიმონიანი ჩაი შეუტანა და გაეხუმრა, კაპიტონს „პეჩენიები“ არ მოუტანიაო.

ორივეს გაეღიმა, კიდევ ერთი დაძაბული შრომითი დღისთვის მოემზადნენ...

– მარტივიანი, ფული თუ გიყვარს?

– არ დავიმალოთ და კი.

– ძალიან გეყვარება. ამ ფულმა დაგლუბა შენ და შენთან ერთად კიდევ სხვები. თუ დაფიქრებულხარ ამაზე?

– არა. მე დღევანდელი ცხოვრებით ვცხოვრობ, უფროსო. ეს გზა ავირჩიე და ამ გზაზე ფულისთვის ბევრი ფათერაკი გადამიყარა და გადამიყვარა, ვინც წინ გადამდებოდა, გაკისრისავ, როგორც რწყილს.

– ოო, მიშკა იაპონიკის „ჩასტუჩკა“ ჩააბუღებულე?

– გცოდნია, უფროსო.

– მაგ კაცის თავი და ბოლო თუ იცი, ვინ იყო, ვინ გახდა და როგორ მოკლეს?

– არა. ვიცი, რომ „ისპალნიტელი“ იყო.

– მერე რომ წითლებმა გადაიბირეს, თუ იცი?

– არა.

– ჟღერტის მკვლელობა და გემილი გქონდა?

– ისეთი უცნაური ნახტომი გააკეთა პროკურორმა, რომ ყველა გაოცდა. მიშკა იაპონიკიდან, შესავლის გარეშე, დაიწყო დაკითხვა.

– თუ დამიჯერებ, უფროსო, არა.

– აბა, ვისმენ.

– წასვლას ვაპირებდი.

– მარტო?

ჩაფიქრდა მარტივიანი. მიხვდა, რომ პროკურორმა ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა. არ უნდოდა ბიძაშვილის საქმეში ჩართვა.

– კი, მარტო.

– სად იყო შენი ბიძაშვილი?

– ის ორი დღის წასული იყო თავის მეუღლესთან ერთად.

– სანამ ბოლოში გახვალ, კიდევ ბევრჯერ იცრუებ და არ გირჩევ ამას.

ჩემი საქმე წასულია. „სელი“ უნდა გადარჩეს, მან მაინც უნდა განაგრძოს ცხოვრება. ის ამ საქმიდან სუფთად უნდა გამოვიყვანო, ფიქრობდა მარტივიანი.

– არა. მარტო ვიყავი.

– განაგრძე.

როსტოვში ვაპირებდი მატარებლით. მოკლეზე გადავიდი. დავინახე, რომ ჟღერტი მომდევდა. ზუსტად ვერ გეტყვით, მომდევდა თუ არა, მაგრამ მანძილი ჩვენს შორის მოკლდებოდა. გადაუღებელივ თოვდა და ნაკვალევს სწრაფად შლიდა. დავიმაღლე ხის უკან, წინ რომ წავიდა, მივეპარე და ნაჯახი ჩავარტყვი.

– რისი ღირსიც ხარ, ვიცი, მაგრამ თავშეკავება მმართებს, – პროკურორმა მძლავრად დაარტყა მუშტი მაგიდაზე, – ტყუი! თოვლში როგორ მიეპარე, როცა ასეთ ამინდში პატარა გაფანჯრებაც კი ისმის. შენი ნაბიჯების ხმა რომ გაეგონა, იარაღი თან ჰქონდა, და მაგ შენს ნაჯახს... – აღარ განაგრძო. ასეთი მრიხანე და აღელვებული ის ჯერ არავის ენახა.

– ასე იყო, უფროსო.

– დარწმუნებული ვარ, ხვალ ისე იტყვი, როგორც სინამდვილეში მოხდა. შენმა ბიძაშვილმა შეიტყუა საუბარში და შენ ნაჯახი დაარტყვი. მიცვალებული გზის მიმართულებით კი არ იყო დავარდნილი, არამედ პირიქით და შენ რომ მიპარვით დავარტყა, ის წინ დავარდებოდა, შე ნამძირალავ.

ამაზე აღარ დაფიქრებულა მარტივიანი. „სელი“ მიუსვამენ გვერდით, ჩაშვებაც მას დაბრალდება. ბოზდება „სერი“, ვერ გათვალა მკვლელობის ეს დეტალი.

– შენი ბიძაშვილი ორი დღით ადრე წავიდაო, რომ თქვი, ერთად წახვედით ბათუმი-მოსკოვის მატარებლით, ერთი კუპე აიღე. წვერი მოშვებული გქონდა და სახე შებურვილი, მაგრამ მაინც გიცნეს, მარტივიანი. იურა, ნატანების სადგურის მოლარე დაიბარეთ ხვალ ამოცნობაზე.

– რომელ საათზე, მამია ენვერინ?

– 12 საათზე. ეს გაიყვანეთ.

დღე-ღამეში ისევ 24 საათია, საათში – ისევ 60 წუთი, წუთში

– 60 წამი. აქ კი დრო თითქოს გაჩერდა. საქმე გახსნილია, ბრალდებული დაკავებულია, უამრავი მტკიცებულება საქმეშია, ბოლო კი არ ჩანს. არა, საქმეს ვერ დააჩქარებენ, მოვლენებს წინ ვერ გაასწრებ, ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა გაზომო, სათქმელი ასჯერ უნდა გადახარშო გონებაში, დამნაშავეს წონასწორობიდან არ უნდა გამოაყვანიო თავი. კედლის კუთხეში მიმწვედულს რაიმე ხვრელი არ უნდა დაუტოვო. მთელი რესპუბლიკა ელის ამ საქმის დამთავრებას, რომ განაჩენი დადგეს. მილიციაში ხარები არ წყდება. ჯერი პროკურატურაზე, სადაც შუალამედე არ ქრება სინათლე, ტარდება დაპირისპირები, ამოცნობები და ა. შ.

შესვენებაზე სახლში მოსული პროკურორი ტახტზე მიწვა და ნახევარი საათით დაიძინა, შემდეგ მსუბუქად ისადილა და ეზოში გავიდა – მისი ბიჭი ბურთს თამაშობდა.

– აბა, ერთი ვნახოთ, როგორ თამაშობ ფეხბურთს, – უთხრა და ბურთი გაუგო.

ბიჭმა ბურთი მარჯვნივ გაუგდო, თვითონ კი მამას მარცხნიდან ოსტატურად შემოუარა და ბურთს იქ დახვდა. გაოცდა მამუკა, არ მოელოდა 8 წლის ბიჭისგან ამას. შემთხვევითობად ჩათვალა, უთხრა კიდევ, შემთხვევით გამოვივიდაო. მოხდენილი ფინტი მეროვლად რომ ჩაუტარა, ხელი მოხვია, თავზე აკოცა და ჰკითხა:

– სად ნახე, ვინ გასწავლა?

– გუშინ ვნახე სტადიონზე, საშა ბიძიამ წამიყვანა ფეხბურთის სანახავად. სოსო ღუმბაძემ გაუკეთა სტუმრების მცველს.

პროკურორმა სათს დახვდა, ორს ათი წუთი აკლდა. მანქანაც მოვიდა.

– კოკი, ტაქსებში მიდი და ვაჟას უთხარი, სოსო ღუმბაძესთან მიხდა შეხვედრა, – უთხრა მძლოლს.

ახლოს იყო ტაქსოპარკი, სადაც ხუთ წუთში ყველამ იცოდა, რომ პროკურორი სოსო ღუმბაძეს იბარებდა. წავიდა ჭორაობა, ნეტავ რა დააშავაო? ქალაქი პატარაა და სოსო უტყებ აღმოაჩინეს, მიტანილი ამბავი დაუძიძიქს, ცუდადაა საქმე, პროკურორი სახლში გიბარებსო. ამ ამბის მიტანიდან თხუთმეტობდე წუთში პროკურორის ეზოსთან მანქანა გაჩერდა. აწურული, თითქმის შეშინებული ახალგაზრდა კაცი მანქანიდან გადმოვიდა, და პროკურორთან მივიდა:

– ვისმენთ, ბატონო.

– გამარჯობა, სოსო. მე მიცნობ?

– თქვენ ვინ არ გიცნობთ. ეტყობა, რაღაც გაუგებრობა მოხდა, მამუკა ბატონო.

მიხვდა პროკურორი, რომ სოსო გაურკვევლობაში იყო და შეეშველა:

– სოსო, ავერ ჩემმა ბიჭმა ორჯერ ისეთი ფინტი გამიკეთა, აზრზე ვერ მოვედი, მითხრა, გუშინ სოსო ღუმბაძემ გაუკეთა სტუმრების მცველსო. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. ეს ჩემი ბიჭია, ფეხბურთელი იქნება თუ არა, ვერ გეტყვი, მაგრამ შენი გაცნობა და ფეხბურთელობა რომ უნდა, ეს დანამდვილებით ვიცი.

სიხარულით ლამის ატირდა ეს პატიოსანი კაცი. ასეთი შემთხვევა არასოდეს ჰქონია, ფინტი სხვა უამრავ მატჩშიც გაუკეთებია, მაგრამ ამისთვის რომელიმე თანამდებობის პირს, მით უფრო პროკურორს, მადლობა არასოდეს უთქვამს. თავი დაუკრა მასპინძელს, ბიჭს აკოცა და მხიარულ ხასიათზე გაბრუნდა სამსახურში...

– ნათელა, ამ ხუთი კაციდან რომელი გეცნობათ, იანვარში თქვენთან ოთხი ბილეთი რომ აიღო ბათუმი-მოსკოვის მიმართულებით.

– ჩვენთან იშვიათად იღებენ ამ მიმართულებით ბილეთებს და ჩემდაუნებურად მამასოვრდება ეს ერთიული ადამიანები. ვეცდები, ადვილდინო. ოღონდ, რომ არ შემეცდეს, ეს სიტყვა უნდა მითხრას – „გთხოვთ, მომცეთ ოთხი ბილეთი მოსკოვამდე“.

მარტივიანს წვერი გაბურძენული ჰქონდა. პროკურორმა დაახლოებით ისეთივე კაშხი და ქული იშოვა, როგორსაც აღწერდა მოლარე და პაქნთან მგლომი ერთ-ერთი მოქალაქე, რომელსაც მარტივიანთან ბავშვობის ახლობლობა აკავშირებდა.

დადგა ხუთივე. ყველას თავზე ქული დაახურეს და ყელზე სხვადასხვა კაშხი შემოახვიეს.

– ვაჟა, აბა, მიხედე საქმეს.

– ნათელა, არ იჩქარო. კარგად დააკვირდი და გვითხარი, თუ გეცნობა ამ პირებიდან რომელიმე.

რამდენჯერმე ჩამოუარა ნათელამ მის წინ მდგომ მამაკაცებს. სათითაოდ დააკვირდა ყველას.

იქნებ ვერ მიცნო, – გაიფიქრა მარტივიანმა, როცა მოლარე მას უკანასკნელად გასცდა. გული ისე აუჩქარდა, ლამის წინდებში ჩაუძვრა...

დამთავრდა ამოცნობა. დამთავრდა უშედეგოდ. ვერ ამოიცნო ნათელამ, რომელმაც იყიდა იანვარში ბილეთი მოსკოვის მიმართულებით, თუმცა მარტივიანთან რამდენჯერმე დააყოვნა.

– წელან მოლარემ რაც ითხოვა, ხომ გესმოდათ? ჰოდა, თქვით სათითაოდ ყველამ, როცა ის შებრუნდება.

შებრუნდა ნათელა, პირით კედლისკენ, უკან კი მთელი შემადგენლობა დადგა.

– გთხოვთ, მომცეთ ოთხი ბილეთი მოსკოვამდე.

– გთხოვთ, მომცეთ ოთხი ბილეთი მოსკოვამდე.

– გთხოვთ, მომცეთ ოთხი ბილეთი...

– ეს კაცი იყო, – სწრაფად შემოტრიალდა ნათელა, მარტივიანს სიტყვა არ დაასრულებინა, შეხვდა და გაიმეორა, – კი, ეს კაცი იყო.

– როგორ ამტკიცებ ამას?

– განსაკუთრებული ხმა აქვს. როცა ბილეთი მთხოვა, თავი ავწიე და შეხვედე, ზუსტად ასე გამოიყურებოდა, თან ფულიც მაჩუქა. ამ მატარებლის ბილეთებზე ფულს არ გვჩუქნიან.

– ალაღად თქვა მოლარემ.

მარტივიანს თავი ჩაღუნული ჰქონდა...

– გაიყვანეთ. – ისევ ფოლადის ხმამ გამოაფხიზლა იგი.

(გაგრძელება იქნება)

პითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინ (1918 წლის იანვარი – აპრილი)

1917 წლის 5 (18) დეკემბერს ერინჯანში დადებული დროებითი ზავი მყარი ვერ იქნებოდა. ზავის დადების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. თვით დროებით ზავშიც იყო ისეთი მუხლები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვდა.

მოლაპარაკების განახლება ოსმალეთთან

1918 წლის 1 (14) იანვარს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის სარდალმა ფერიკ ვეპიზ მეჰმედ ფაშამ წერილით მიმართა კავკასიის არმიის სარდალს გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეს. ოსმალეთის სარდალი წერდა:

1. ერინჯანის მოლაპარაკებაზე გენერალ-მაიორმა ვეპიზ ვიშინსკიმ განაცხადა, რომ კავკასიის არმია მოლაპარაკებას კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი - ვ. გ.) სახელით აწარმოებდა. ეს მე დეკემბრით დამოდასტურა მოლაპარაკებაზე ჩემმა ერთერთმა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ომერ ლიუფტი ბეიმ, ხოლო მე მოლაპარაკების მიმდინარეობისა და დროებითი ზავის შესახებ საქმის კურსში ჩაყაყენე უმაღლესი მთავარსარდალი ენვერ ფაშა;

2. უმაღლეს მთავარსარდალს ენვერ ფაშას სურს გაიგოს რა ვითი იქნება შესაძლებელი აღდგენის ურთიერთობა კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობისათვის (იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატი - ვ. გ.), რა წინადადებები ექნება კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას მხარეებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების თაობაზე;

3. უმაღლესი მთავარსარდალი ენვერ ფაშა წინადადებას მიძღვეს თბილისში კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობასთან გავეზარო დელეგაცია, რათა უსწრაფესად აღდგენს ორივე მხრისათვის სასურველი მშვიდობა.

ვეპიზ ფაშა ილია ოდიშელიძეს თხოვდა ზემოთ თქმულის შესახებ საქმის კურსში ჩაყენებინა ამიერკავკასიის კომისარიატი.

1918 წლის 4 (17) იანვარს ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების სამხარეო ცენტრის სხდომა. სხდომაზე მოხსენებით წარდგა ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ვეპიზ გეგეკორი. მოხსენებელმა აღნიშნა: ენვერ ფაშა ამიერკავკასიის კომიტეტს სამართლიანი ზავის დადებას სთავაზობს; იმავდროულად, ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი საყოველთაო ზავის დადების ინიციატივით გამოვიდა. ვეპიზ გეგეკორმა სამხარეო ცენტრს თხოვა აზრი გამოეთქვა ენვერ ფაშას შემოთავაზებაზე. სამხარეო ცენტრმა მიიღოდადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ენვერ ფაშასათვის ეცნობებინათ შემდეგი:

1. ჩვენ ვესურს დავდეთ ისეთი ზავი, რომელიც მისაღები იქნება რუსეთის დემოკრატიისათვის;

2. ამიერკავკასია რუსეთის რუსუბ-ლიკის (იგულისხმება დროებითი მთავრობის რუსეთი - ვ. გ.) შემადგენელი ნაწილია, რის გამოც ამიერკავკასიის კომისარიატს საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების თანხმობით შეუძლია;

3. რუსეთის დამფუძნებელ კრებამ ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატები ჩვენს მიერ უფლებამოსილი არიან საზავო მოლაპარაკების საკითხი დააყენონ დამფუძნებელ კრებაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გაცნობებთ დაუყოვნებლივ.

1918 წლის 5 (18) იანვარს კავკასიის არმიის სამხარეო ცენტრმა რუსეთის დამფუძნებელ კრებას დეკემბრით მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო: „კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო მხურვალე საღამოს უძღვინის დღეს გახსნილ სრულად რუსეთის დამფუძნებელ კრებას, სრულ მხარდაჭერას უცხადებს რუსეთის მიწის ერთადერთ კანონიერ პატრონს და გამოთქვამს მტკიცე რწმუნას, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ხელი შეუშალოს დამფუძნებელ კრებას რევოლუციური დემოკრატიის ნების დაკანონებაში.“


1918 წლის 5 (18) იანვარს აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **შალვა ალექსი-მესხიშვილი, გ. გ. ტერ-გაზარ-იანი, მემედ იუსუფ ჰაჯიბაბა ჯაფაროვი, ხ. ი. კარჩიანი, სულდათ ბეი მელიქ-ასლანოვი, ა. ვ. ნურუჩევი, ლ. ბეჰუთოვი, კ. ა. გაზარინი, ვლადიმერ გობენია, ი. გ. ფიცრცხლა-იშვილი, ხალილ ბეი ჰაჯიბაბა ხანსამე-ლოვი, გრიგოლ რცხილაძე, დმის-ნიკოვი.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხად განიხილეს იყო ენვერ ფაშას წინადადება საზავო მოლაპარაკების შესახებ. ზავის საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი მოსაზრება: 1. ამიერკავკასიის კომისარიატი ესწრაფვის ადღის რუსეთის დემოკრატიისათვის მისაღები ზავი; 2. ამიერკავკასია რუსეთის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და მას ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების ნებართვით შეუძლია; 3. რუსეთის დამფუძნებელ კრებამ ამიერკავკასიის მიერ არჩეული დეპუტატები უფლებამოსილი არიან დამფუძნებელ კრებაში ოსმალეთთან დასაღები ზავის საკითხი დააყენონ; 4. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრი, ამიერკავკასიის კომისარიატს წინადადებას აძლევს ზავის თაობაზე მოლაპარაკება აწარმოოს, როგორც რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებთან, ისე საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. მიღებულ გადაწყველებაში აღნიშნულია:

1. ოსმალეთთან ზავის დადების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნას;

2. ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვიოს თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ა) ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები (1 წარმომადგენელი ყოველი ეროვნული საბჭოდან), ბ) მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმი, გ) ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი, დ) ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, ე) ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი.

რუსეთის დამფუძნებელი კრება 1918 წლის 5 (18) იანვარს უნდა გახსნილიყო. რუსეთის პოლიტიკური ძალები იმედოვნებდნენ, რომ დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებს 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბერს) კონსტრუქციული გეგმატარების შედეგად მიტაცებულ სახელმწიფო ხელისუფლებას წართმევდა. სამწუხაროდ რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ ბოლშევიკების სახელმწიფო ხელისუფლებიდან ჩამოკლება ვერ შეძლო. 6 (19) იანვარს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რითაც რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის შანსი გაქრა.

რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ დამორღუნველი გავლენა იქო-



ნია ამიერკავკასიის პოლიტიკურ ძალებზე. ეგვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, ბოლშევიკები ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეეცდებოდნენ. 1918 წლის 12 (25) იანვარს გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის საკითხი. მიღებულ გადაწყველებაში აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრების გარეკვით გაწყდა ის უკანასკნელი ძაფი, რომელსაც ვერ კიდევ შეეძლო გაერთიანებინა სრულად რუსეთის დემოკრატია. დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლა რუსეთის ერთიანობისათვის და რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაა. დამფუძნებელი კრების გარეკვამ კიდევ ერთხელ დატოვა ამიერკავკასიის კომისარიატი თავისი ძალების იმედად, მაშინ, როდესაც ანარქია სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ამიერკავკასიის სასიცოცხლო ინტერესები ითხოვს დამფუძნებელ კრებამ ამიერკავკასიიდან და ამიერკავკასიის ფრონტიდან არჩეული დეპუტატების უახლოეს დღეებში შეკრებას, რათა მათ პირველ რიგში შექმნან ძლიერი ავტორიტეტული ხელისუფლება, რომელიც შესძლებს რევოლუციური წესრიგის დამყარებას და ცხოვრებაში გაატარებს მომწიფებულ რეფორმებს.“

ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები იმთავითვე გაემიჯნენ 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბერს) ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ კონსტრუქციული სახელმწიფო გადაწყვეტილებას, თუმცა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტის გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამის მიზეზი იყო ის, რომ მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მიიჩნევდა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლებას ძალიან მალე დაკარგავდნენ, ძალაუფლებას დაიბრუნებდა რუსეთის დროებითი მთავრობა და რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება გახდებოდა ქვეყნის ბედის განმსაზღვრელი. ასე ფიქრობდნენ ქართველები, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწეებიც. 1918 წლის 6 (19) იანვარს საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ მსოფლიო დაარწმუნა, რომ ბოლშევიკები ხელისუ-

ფლებას ადვილად არ დათმობდნენ. იგივე განწყობილება განჩნდა ამიერკავკასიის კომისარიატში. ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის 1918 წლის 12 (25) იანვრის დადგენილება ფრთხილად, მაგრამ საყვებით ცხადდ მანინებდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი დამოუკიდებლად იწყებდა მხარის მართვა-გამგეობას და ანგარიშს არ უწევდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მისწრაფებებს.

1918 წლის 6 (19) იანვარს ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრების გარეკვამ ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. რუსეთში კანონიერი ხელისუფლების (დროებითი მთავრობის) აღდგენის შანსი თითქმის აღარ არსებობდა. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება **ამიერკავკასიის სეიმის** მოწვევის შესახებ. შექმნილ ვითარებაში სეიმის არჩენების ჩატარება წარმოუდგენელი იყო, ამიტომ გადაწყდა სეიმში შესულიყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებამ ამიერკავკასიიდან არჩეული დელეგატები, რომელთაც დაემატებოდნენ პოლიტიკური პარტიების სიით წარდგენილი დელეგატები. ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს - სეიმის გახსნის დღე 1918 წლის 10 (23) თებერვლი დაინიშნა. სეიმის თავმჯდომარედ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იქნა არჩეული.

1918 წლის 14 (27) იანვარს **ვეენი გეგეკორის** თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **აკაკი ჩხენკელი, ხ. ი. კარჩიანი, გ. გ. ტერ-გაზარინი, ვლადიმერ გობენია, სულდათ ბეი მელიქ-ასლანოვი, მემედ პასან ჯაფაროვი, გ. გ. ტერ-გაზარინი, ალექსანდრე მასნიკიანი, პეტრე გელეიშვილი, ნ. კელარევი.** მოწვეული იყო გენერალი **ზაქარია მდივანი.** სხდომაზე განიხილეს ოსმალეთთან ზავის დადების საკითხი. ზავის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ვეენი გეგეკორი, რომელმაც აღნიშნა: ამიერკავკასიის კომისარიატი დიდხანს დედა ზავის თაობაზე ოსმალეთის შემოთავაზებაზე, რაც შეიძლება ოსმალეთის მხრიდან გაგებული იქნას, როგორც ზავისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მოხსენებლის აზრით, იმის გამო, რომ ოსმალეთში ამიერკავკასიის კომის-

არიატი ზავის დადების მოწინააღმდეგედ არ ყოფილიყო მიჩნეული, მიზანშეწონილი იყო ოსმალეთისათვის ასეთი პასუხი გაეგზავნათ: ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს მეზობელ ხალხებთან და ამ მოლაპარაკების დასრულებამდე არ შეუძლია ოსმალეთს გარკვეული და საბოლოო პასუხი მისცეს. აკაკი ჩხენკელმა ოსმალეთისათვის გასაგზავნად პასუხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პასუხში უნდა გატარებულიყო შემდეგი აზრი:

1. ამიერკავკასიის კომისარიატი ზავის დადების მომხრეა;

2. ამიერკავკასიის კომისარიატი უნდა მოლაპარაკოს მეზობელ ხალხებს, რომელიც სისხლ-ხორციელად არიან დაინტერესებულნი ზავის დადებით;

3. ოსმალეთის მხრიდან ზავის დადების თაობაზე შემოთავაზების მიღების დროისათვის, რუსეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა (იგულისხმება 1917 წლის 25 ოქტომბრის (7 ნოემბერი) კონსტრუქციული სახელმწიფო გადატრიალება - ვ. გ.), რამაც მეზობელ ხალხებთან ამიერკავკასიის კომისარიატის მოლაპარაკებას გარკვეული სირთულეები შეუქმნა;

4. ამიერკავკასიის კომისარიატს ზავის თაობაზე საბოლოო პასუხის გასაცემად სამ კვირიანი ვადა სჭირდებოდა.

ვეენი გეგეკორი აკაკი ჩხენკელის აზრს დათანხმდა და აღნიშნა: აუცილებელია ოსმალეთს დაუყოვნებლივ ვუპასუხოთ, რადგან პასუხის დაგვიანება გარდა იმისა, რომ დიპლომატიური უტაქტობა იქნებოდა, ხალხი ამიერკავკასიის კომისარიატის ღუძილს ვერ გაიგებდა და მის პოლიტიკას მხარს არ დაუჭერდა.

საკითხის განხილვის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა:

1. ზავის თაობაზე ოსმალეთის შემოთავაზებას პასუხი ვეენი გეგეკორისა და აკაკი ჩხენკელის მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე გაეცეს;

2. ეთხოვოს ვეენი გეგეკორსა და აკაკი ჩხენკელს შეიმუშაონ ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის პროექტი; პასუხის პროექტს გაეცნოს ამიერკავკასიის კომისარიატი;

3. ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის შინაარსის გასაცნობად 1918 წლის 29 იანვარს თბილისში მოიწვიონ სამხრეთ-დასავლეთ კავშირისა და უკრაინის წარმომადგენლები;

4. ოსმალეთისათვის გასაგზავნი პასუხის ტექსტის საბოლოო ვარიანტის შემუშავების მიზნით 1918 წლის 15 იანვარს 19 საათზე შეიკრიბოს ამიერკავკასიის კომისარიატი; სხდომაზე მოწვეულ იქნას ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრის პრეზიდიუმი და ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები.

როგორც ვხედავთ ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობდა ოსმალეთთან მოლაპარაკებაში ყველა ანტი-საბჭოთა (ანტი-ბოლშევიკური) ძალა ჩართო. ამ ძალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უკრაინა და კახეთის ჯარის სამხრეთ-აღმოსავლეთი კავშირი (კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კავშირი აერთიანებდა: ღონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის კახეთის ჯარს), ასევე ამიერკავკასიის ხალხების ეროვნული საბჭოები, რომელთაც საბჭოთა რუსეთთან რაიმე ურთიერთობის დამყარება არ სურდათ.

(გაგრძელება იქნება)
პანსტანო გურული
(გვ-100-105)

